

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 163

ქ. თბილისი

23.12.2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ს/კ 441484323 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიგაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბრიკო კავკასუსი“ ს/კ 405067494 (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) -

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-სათვის შექმნა: ხელთათმანი 52 წყვილი, შესადულები ელექტროდი 3,25x350 -1 ცალი.

დანაყოფის კოდი: CPV 18424300, 31711140.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 191.10 (ას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის

მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტს და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას.

6. მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. მიწოდების ვადებია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 5 დღის განმავლობაში.

6.2. მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის №8.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი.

ბ) შემსყიდველს საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორი დავით გიგაური.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახური“
მის: დ.სტეფანწმინდა დ.ღმამენებლის N9
ტელეფონი 599 98 24.65
საიდენტიფიკაციო კოდი: 441484323
ბაზინის კოდი: 030204

მიმწოდებელი

შპს „ბრიკო კავკასუსი“
მის: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N8
ტელ: 251 74 00/01/02
საიდენტიფიკაციო კოდი: 405067494
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ნ GE80BR0000010286532759

ხელმოწერა



დ. ბეგიანიძე

ხელმოწერა



მ. დოლიძე